აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 49

11 სექტემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

მონიტორინგის ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 48-ე მუხლის 10^1 პუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რეპუბლიკის კანონის 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საარჩევნო სუბიექტების მიერ 2008 წლის 3 ნოემბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით გამოყენებული სახსრების ანგარიშის მონიტორინგის მიზნით შექმნილი ფინანსური მონიტორინგის ჯგუფის დებულება დანართის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია

„დამტკიცებულია“

ფინანსური მონიტორინგის ჯგუფის
დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ფინანსური მონიტორინგის ჯგუფი (შემდგომში—ჯგუფი) იქმნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით და საქართველოს ორგანული კანონის “საქართველოს საარჩევნო კოდექსი” საფუძველზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის განკარგულებით და ასრულებს კანონითა და ჯგუფის დებულებით განსაზღვრულ ფუნქციებს.

2. ჯგუფი თავის საქმიანობაში არის დამოუკიდებელი და ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით, საქართველოს ორგანული კანონით “საქართველოს საარჩევნო კოდექსით” და სხვა კანონებით, კანონქვემდებარე აქტებით, საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივი აქტებითა და ამ დებულებით.

3. დებულება მიზნად ისახავს ჯგუფის ორგანიზაციული საქმიანობის სრულყოფას, განსაზღვრავს ჯგუფის უფლებამოსილებას, ასევე მისი მუშაობის, სხდომების ჩატარებისა და გადაწყვეტილებების მიღების წესს.

მუხლი 2. ჯგუფის შექმნის წესი და შემადგენლობა

1. უსკოს განკარგულებით არჩევნების დანიშვნიდან 5 დღის ვადაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიასთან იქმნება ფინანსური მონიტორინგის ჯგუფი.

2. ჯგუფი შედგება ხუთი წევრისგან.

3. ჯგუფის შექმნის მიზანია არჩევნებისთვის გამოყენებული სახსრების ანგარიშების მონიტორინგის განხორციელება.

4. თავმჯდომარეს ირჩევს ჯგუფი თავის წევრთაგან სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

5. ჯგუფის მუშაობის ეფექტურად წარმართვის მიზნით უსკო უზრუნველყოფს ჯგუფისთვის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას და ჯგუფის ასისტენტის გამოყოფას.

მუხლი 3. ჯგუფის წევრის უფლება-მოვალეობანი

1. ჯგუფის წევრი ვალდებულია სისტემატურად ესწრებოდეს ჯგუფის სხდომებს და მონაწილეობდეს მისი ფუნქციების განხორციელებაში.

2. ჯგუფის წევრს უფლება აქვს:

ა) თავისუფლად მიუწვდებოდეს ხელი ჯგუფში შემოსულ და უსკოში არსებულ საარჩევნო ფონდებთან დაკავშირებულ დოკუმენტაციაზე.

ბ) მოითხოვოს ჯგუფის სხდომების დღის წესრიგში საკითხის შეტანა და მისი განხილვა.

მუხლი 4. ჯგუფის უფლებამოსილება

1. ჯგუფის უფლებამოსილებაში შედის:

ა) არჩევნების პერიოდში საარჩევნო სუბიექტების ფონდების მიერ საარჩევნო კომისიებში წარდგენილი შესაბამისი ინფორმაციის შესწავლა და შესწავლის შედეგად მიღებული დასკვნების უსკოსთვის წარდგენა.

ბ) საარჩევნო სუბიექტების მხრიდან საარჩევნო ფონდებთან დაკავშირებით შესაბამის საარჩევნო კომისიაში წარდგენილ კითხვებთან მიმართებით უსკოსთვის პასუხის წარდგენა.

გ) საარჩევნო სუბიექტების მიერ კანონის შესაბამისად საარჩევნო კომისიაში წარდგენილი შუალედური ინფორმაციის (საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის მე-4 ნაწილი) მონიტორინგი და მოსაზრების მომზადება, შუალედური ინფორმაციის ჯგუფისთვის წარდგენიდან არა უგვიანეს ორი კვირისა.

დ) წინასწარი მონაცემებით კანონით დადგენილი საკმარისი ხმების მიღების შემთხვევაში შესაბამისი სუბიექტების მიერ კანონის თანახმად საარჩევნო კომისიაში წარდგენილი არჩევნებისთვის გამოყენებული სახსრების ანგარიშის (საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის მე-6 ნაწილი) მონიტორინგი, დასკვნის მომზადება და უსკოსთვის წარდგენა ანგარიშის ჯგუფისთვის გადაცემიდან არა უგვიანეს მე-9 დღისა. ხოლო არჩევნებში მონაწილე სხვა სუბიექტების საარჩევნო ფონდების ანგარიშების შემთხვევაში, ჯგუფისთვის ანგარიშების წარდგენიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.

2. უსკო ვალდეულია უზრუნველყოს საარჩევნო სუბიექტების საარჩენო ფონდის მიერ საარჩევნო ადმინისტრაციაში წარდგენილი საარჩევნო ფონდთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ჯგუფისთვის დაუყოვნებლივ მიწოდება. მათ შორის, ჯგუფს დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს საარჩევნო კოდექსის 73-ე მუხლის საფუძველზე მედია საშუალებების მიერ უსკოში ყოველკვირეულად წარდგენილი ინფორმაცია.

3. იმ შემთხვევაში თუ საარჩევნო სუბიექტების საარჩენო ფონდის და მედია საშუალებების მიერ წარდგენილი ინფორმაცია შეუძლებელს ხდის ჯგუფის მიერ სრულყოფილი დასკვნის მომზადებას ჯგუფის წარდგინების საფუძველზე უსკოს თავმჯდომარე ითხოვს შესაბამისი სუბიექტებისგან დამატებით ინფორმაციას ან/და ჯგუფის წინაშე ინფორმაციის წარდგენას. სუბიექტი ვალდებულია აღნიშნული მოთხოვნა დააკმაყოფილოს მისი მიღებიდან ერთი დღის ვადაში.

მუხლი 5. ჯგუფის სხდომის მომზადება და ჩატარება

1. ჯგუფის სხდომა მოიწვევა არანაკლებ კვირაში ერთხელ, აუცილებლობის შემთხვევაში, ჯგუფის რიგგარეშე შეხვედრას იწვევს ჯგუფის თავმჯდომარე.

2. ჯგუფის შეხვედრის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე ჯგუფის ასისტენტი ვალდებულია უზრუნველყოს ჯგუფის წევრთა ინფორმირება.

3. ჯგუფის შეხვედრების დღის წესრიგის პროექტს ამზადებს ჯგუფის ასისტენტი თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

4. ჯგუფის წევრს უფლება აქვს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცებამდე მოითხოვოს დამატებითი საკითხის დღის წესრიგში შეტანა. საკითხი წყდება კენჭისყრით.

5. ჯგუფის შეხვედრაზე ასისტენტის მიერ დგება სხდომის ოქმი და მას ხელს აწერენ თავმჯდომარე და ჯგუფის ასისტენტი.

6. ჯგუფის სხდომის ოქმი ფორმდება სხდომიდან არაუგვიანეს 1 დღისა

მუხლი 6. ჯგუფის სხდომა და გადაწყვეტილებათა მიღების წესი

1. ჯგუფის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

2. ჯგუფის შეხვედრას უძღვება თავმჯდომარე.

3. ჯგუფის გადაწყვეტილება მიიღება ჯგუფის დამსწრე წევრთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ ჯგუფის სამი ხმისა.

4. ჯგუფის წევრს, რომელიც არ ეთანხმება ჯგუფის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს წერილობით გამოთქვას განსხვავებული აზრი, რომელიც თან ერთვის ჯგუფის გადაწყვეტილებას.

5. ჯგუფის მიერ მომზადებულ დოკუმენტებს (გარდა სხდომის ოქმისა) ხელს აწერს ჯგუფის ყველა წევრი.

მუხლი 7. საქმისწარმოების წესი

1. ჯგუფში დოკუმეტების მიღებას, გაცემას და აღრიცხვა-რეგისტრაციას ახორციელებს ჯგუფის ასისტენტი.

2. სარეგისტრაციო ჟურნალს აწარმოებს ჯგუფის ასისტენტი. სარეგისტრაციო ჟურნალი იყოფა ორ ნაწილად: ჯგუფში შემოსული და ჯგუფიდან გაცემული დოკუმენტაცია.

3. ასისტენტი ვალდებულია ჯგუფში შემოსული ყოველგვარი დოკუმენტაცია დაუყოვნებლივ დაარეგისტრიროს ჟურნალში, სადაც უწყვეტი თანმიმდევრობით აღრიცხავს მათ შემოსვლის რიგის მიხედვით.

4. სარეგისტრაციო ჯურნალში რეგისტირებულ ყველა დოკუმენტაციას ასისტენტი დაუყოვნებლივ წარუდგენს ჯგუფის წევრებს.